# ხელშეკრულება №47

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 28 დეკემბერი 2016 წ.

ერთის მხრივ, სსიპ - #195 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის მ/შ კობა წენგუაშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს ,,ჩვენი სკოლა" მისი დირექტორის ნათია ჭანტურიშვილის (შემდგომში - მიმწოდებელი) სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია საკანცელარიო საქონლის შესყიდვა (cpv-30100000 — 120,40 ლ.) ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 120,40 (ასოცი ლარი და 40 თ) ლარს.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს გადაზიდვის მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1.მომსახურების მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.2. მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის ხელმოწერასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია, წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება გადაზიდვის მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 2016 წლის 30 დეკემბრამდე.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების

შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

გ) ამ მუხლის 5.3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში თავად მიიღოს ზომები ნაკლის აღმოსაფხვრელად და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

ბ) გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, ახალი და სათანადოდ შეფუთული, საქონელი.

გ) შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა განახორციელოს უხარისხო საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა ან შეკეთება შემსყიდველის მხრიდან დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

6.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

6.3. ხელშეკრულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება;

დ) თუ ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბია;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 30 დეკემბრამდე.

მუხლი 14. სხვა პირობები

14.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, თანხებით და რისკით.

| | |
|---|---|
| მიმწოდებელი | შემსყიდველი |
| შპს „ჩვენი სკოლა“ | სსიპ #195 საჯარო სკოლა |
| მისამართი: ქ. თბილისი მარშალ გელოვანის გამზ.N24 | მისამართი: ქ.თბილისი, ჩიქოვანის ქ #26 |
| საიდენტიფიკაციო კოდი: № 404862136 | ტელეფონი: 236 44 60 |
| საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „თიბისი ბანკი” | საიდენტიფიკაციო კოდი: №204900107 |
| საბანკო კოდი: TBCBGE22 | საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „ლიბერთი ბანკი”- |
| ანგარიშსწორების ანგარიში: | |
| GE37TB7684436020100002 | |
| | საბანკო კოდი: LBRTGE22 |
| | ანგარიშსწორების ანგარიში: |
| | **GE11LB0**121149313044000 |
| შ.პ.ს. „ჩვენი სკოლა“ | დირექტორი |
| ----------/ნათია ჭანტურიშვილი/ | ----------/კობა წენგუაშვილი/ |

# მიღება–ჩაბარების აქტი

ქ.თბილისი 29.12. 2016 წ.

ერთის მხრივ სსიპ ქალაქ თბილისის #195 საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ კობა წენგუაშვილი (მიმღები), მეორეს მხრივ შპს ,, ჩვენი სკოლა'' დირექტორი ნატია ჭანტურიშვილი(მომწოდებელი) ვადგენთ მიღება–ჩაბარების აქტს მასზედ რომ მიმწოდებელმა მიაწოდა ხოლო მიმღებმა მიიღო: საკანცელარიო საქონელი სულ ღირებულებით 120,40 (ასოცი და 40) ლარი.

აქტი შედგენილია ორ ეგზემპლიარად, აქტის სისწორეს ორივე მხარე ვადასტურებთ ხელის

დამკვეთი

შემსრულებელი

| 1 | სასაქონლო ზედნადები # | ელ- 0281428056 |
|---|---|---|

| 2 | 29/12/2016 |
|---|---|

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

| 3 | 14:55:00 |
|---|---|

დრო (საათი, წუთი)

(დღგ-ს გადამხდელი)

| 4 | შპს ჩვენი სკოლა | 404862136 |
|---|---|---|
| | გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება,ან სახელი და გვარი | საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი |

| 5 | სსიპ ქალაქ თბილისის #195 საჯარო სკოლა | 204900107 |
|---|---|---|
| | მყიდველის (მიმღების) დასახელება,ან სახელი და გვარი | საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი |

| 6 | ოპერაციის შინაარსი | ტრანსპორტირების გარეშე |
|---|---|---|

| 7 | მარშალ გელოვანის გამზ. N-24 |
|---|---|

ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

| 8 | X |
|---|---|

ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

| 9 | |
|---|---|

ტრანსპორტირების სახე

| 10 | X |
|---|---|

სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი

მისაბმელი

| 11 | სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი | X |
|---|---|---|

| 12 | გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი |
|---|---|

თანხა ლარებში

# სასაქონლო ზედნადების ცხრილი

| # | საქონლის დასახელება | საქონლის კოდი | საქონლის ზომის ერთეული | საქონლის რაოდენობა | საქონლის ერთეულის ფასი* | საქონლის ფასი * |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სახელწიფო შესყიდვების აღრიცხვის ჟურნალი | 209 | ცალი | 2.0000 | 6.0000 | 12.0000 |
| 2 | შეცვლილი და გაცდენილი გაკვეთილების აღრიცხვის ჟურნალი | 232 | ცალი | 2.0000 | 4.5000 | 9.0000 |
| 3 | A4 ფორმატის რვეული (საკანცელარიო) | 2299 | ცალი | 3.0000 | 3.5000 | 10.5000 |
| 4 | ჩასანიშნი ქაღალდი წებოვანი 5ფ. 500 ც. | 654 | ცალი | 2.0000 | 7.0000 | 14.0000 |
| 5 | კორექტორი კალამი | 032 | ცალი | 3.0000 | 1.8000 | 5.4000 |
| 6 | სტეპლერი დიდი | 035 | ცალი | 2.0000 | 8.0000 | 16.0000 |
| 7 | სტეპლერი პატარა | 036 | ცალი | 2.0000 | 5.0000 | 10.0000 |
| 8 | მშრალი წებო | 039 | ცალი | 3.0000 | 1.0000 | 3.0000 |

| 13 | 120.4 - ას ოცი ლარი და ორმოცი თეთრი |
|---|---|

მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

| 14 | |
|---|---|

გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

| 15 | |
|---|---|

მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

| 16 | |
|---|---|

ხელმოწერა

| 17 | |
|---|---|

ხელმოწერა

| 18 | მიწოდებული საქონლის ჩაბარების | 29/12/2016 | 14:55:15 |
|---|---|---|---|
| | | თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) | დრო (საათი, წუთი) |

| 19 | |
|---|---|

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი 06/01/2017, 11:49:19

0281428056 სასაქონლო ზედნადების დანართი

| # | საქონლის დასახელება | საქონლის კოდი | საქონლის ზომის ერთეული | საქონლის რაოდენობა | საქონლის ერთეულის ფასი* | საქონლის ფასი * |
|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | ჭიკარტები (30 ცალიანი) | 042 | ცალი | 3.0000 | 1.0000 | 3.0000 |
| 10 | სახვრეტელა( დირაკოლი) | 046 | ცალი | 1.0000 | 6.5000 | 6.5000 |
| 11 | მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი | 250 | ცალი | 1.0000 | 2.5000 | 2.5000 |
| 12 | პედაგოგიური საბჭოს ოქმების წიგნი | 244 | ცალი | 1.0000 | 8.0000 | 8.0000 |
| 13 | სამეურვეო საბჭოს ოქმების წიგნი | 245 | ცალი | 1.0000 | 8.0000 | 8.0000 |
| 14 | მოსწავლეთა აკადემიური წარმატების აღრიცხვის ჟურნალი | 312 | ცალი | 1.0000 | 4.0000 | 4.0000 |
| 15 | სხვა ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი | 219 | ცალი | 1.0000 | 4.5000 | 4.5000 |
| 16 | შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვის წიგნი | 004 | ცალი | 1.0000 | 4.0000 | 4.0000 |

| 13 | 120.4 - ას ოცი ლარი და ორმოცი თეთრი |
|---|---|

მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

| 14 | |
|---|---|

გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

| 15 | |
|---|---|

მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

| 16 | |
|---|---|

ხელმოწერა

| 17 | |
|---|---|

ხელმოწერა

| 18 | მიწოდებული საქონლის ჩაბარების | 29/12/2016 | 14:55:15 |
|---|---|---|---|

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) დრო (საათი, წუთი)

| 19 | |
|---|---|

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი 06/01/2017, 11:49:19

| | | |
|---|---|---|
| ლიბერთი ბანკი<br>საგადახდო დავალება #: 162267<br>თარიღი: 2016 წლის 29 12, ხუთშაბათი | | GEL |
| გადამხდელის დასახელება: | სსიპ ქალაქ თბილისის #195 საჯარო სკოლა" | GEL<br>120.40<br>*თანხა სიტყვიერად*<br>*ას ოცი GEL და 40* |
| ანგარიში (დებეტი): | GE11LB0121149313044000 | |
| გადამხდელის ბანკი: | სს "ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი: LBRTGE22 | |
| გადასახადის გადამხდელის დასახელება: | | |
| საიდენტიფიკაციო კოდი: | საბიუჯეტო შემოსავლის კოდი: | ბანკის აღნიშვნები |
| მიმღების დასახელება: | შპს ,,ჩვენი სკოლა | ბანკში შემოსვლის თარიღი: 29.12.2016 |
| საიდენტიფიკაციო კოდი: 404862136 | ანგარიში (კრედიტი): GE37TB7684436020100002 | |
| მიმღების ბანკი: | "თიბისი ბანკი" ბანკის კოდი: TBCBGE22 | |
| გადახდის დანიშნულება: | საკანცელარიო ნივთების ღირებულება | ხელმოწერა: |
| ხელმოწერა: | | |
| | ბ.ა. | ლიბერთი ბანკი LIBERTY BANK |
| დოკუმენტი დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან | | |